

პროექტი: გლობალური წყლის ბალანსის მართვის მხარდაჭერის სისტემა (Decision Support System for Global Water Balance- BSB00734 – GwB)

პროექტი ხორციელდება ოთხი ორგანიზაციისგან შემდგარი კონსორციუმის მიერ. წამყვანი პარტნიორი – თექირდაგის ნამიქ ქემალის სახელობის უნივერსიტეტი (თურქეთი), „ბურგასის რეგიონული ტურისტული ასოციაცია“ (ბულგარეთი), საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკა“ (საქართველო) და ქსანთის სავაჭრო-სამრეწველო პალატა (საბერძნეთი).

პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს **948 986,41 ევროს**, საიდანაც პროგრამის დაფინანსებაა **854 087,75 ევრო**, საჯარო თანადაფინანსება – **77 184,38 ევრო**, ხოლო პარტნიორთა თანადაფინანსება – **17 714,28 ევრო**.

სოფლის მეურნეობა წყლის რესურსების უმსხვილესი მომხმარებელია, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სექტორში წყლის მოხმარების მთავარი მიზეზი სარწყავი სისტემებია. სარწყავი მიწები მსოფლიო მასშტაბით დამუშავებადი მიწების დაახლოებით **20%-ს** და სურსათის წარმოების **40%-ს** შეადგენს. სოფლის მეურნეობა პასუხისმგებელია მსოფლიოში წყლის მოხმარების თითქმის **70%-ზე**, ხოლო ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში ეს მაჩვენებელი **95%-საც** აღწევს.

ამ პროექტის მიზანია შეიქმნას **სიმულაციური მოდელი**, რომელიც რეალურ დროში ადაპტირებულ მართვასა და აგენტებზე დაფუძნებულ მოდელირებას გამოიყენებს ნიადაგში ინფილტრაციის დროითი და სივრცითი ცვალებადობის პრობლემის გადასაჭრელად. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს წყლის გამოყენების ეფექტიანობის **10%-ით** გაზრდას, რაც გამოიწვევს წყლის მნიშვნელოვან დაზოგვას, ზედმეტად მოხმარებული წყლის შემცირების მნიშვნელოვან პოტენციალს (**54–76%**) და სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყლის პროდუქტიულობის მნიშვნელოვან ზრდას (**9–15%**), ზედაპირული მორწყვის სისტემებიდან სპრინკლერულ ან წვეთოვან სარწყავ სისტემებზე გადასვლის გზით 2050 წლამდე.

პროექტის მოსალოდნელი შედეგებია:

1. **გლობალური წყლის ბალანსის გადაწყვეტილების მხარდაჭერის ახალი სისტემა (Dss-GwB)**, რომელიც ორი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტისგან შედგება და შესაძლებლობას იძლევა გაფართოვდეს სისტემის ფუნქციონალი სარწყავ პროცესებთან დაკავშირებული დამატებითი ფაქტორების გათვალისწინებით ან სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის დამატებით. საბოლოოდ, ეს უზრუნველყოფს წყლის განაწილებისა და მოსავლიანობის სტრატეგიების ოპტიმიზაციას და ფერმერთა გადაწყვეტილებების მიღების პროცესის სიმულაციას.

2. შესაძლებლობების გაძლიერება:

- **(ა) ფერმერებისთვის** – სარწყავი წყლის მართვის მნიშვნელობის უკეთ გააზრებისა და შეფასების მიზნით, როგორც მოსავლიანობასა და წყლის მოხმარებაზე გავლენის მქონე ძირითადი ფაქტორისა. ეს განხორციელდება კულტურების განვითარების ნაღვეზე დამოკიდებულების შემცირებით და წყლის გამოყენების ეფექტიანობის (WUE) გაზრდით. ამისთვის განხორციელდება **აგენტებზე დაფუძნებული მოდელირების სასწავლო პროგრამა (ABMEP)**.
- **(ბ) სპეციალისტებისთვის** – პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, რათა ხელი შეუწყონ ეფექტიანი ორგანიზაციების და ძლიერი ინსტიტუციური სტრუქტურების ჩამოყალიბებას, სადაც ადამიანები შეძლებენ პროდუქტიულად მუშაობას, ასევე ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს უწყობს სარწყავი სისტემების წარმატებულ განვითარებას. ეს განხორციელდება **ფორმალური სასწავლო კურსების (FTC) ორგანიზებით**.